



ადიარებულია, რომ საქართველო გამოირჩევა გეოგრაფიული და კულტურული მრავალფეროვნებით, რაც მას ტურისტულ სამყაროში დამკვიდრების საშუალებას უქმნის. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით საქართველოს მეტად დიდი პოტენციალი გააჩნია. იგი ქვეყნის პრიორიტეტული დარგია. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: "ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი," რომელიც ჩატარდა შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის სკოლის, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და თურქეთის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის ინიციატივით ამა წლის 5-6 ივნისს.

კონფერენცია ეძღვნებოდა საქართველოსა და თურქეთს შორის ტურიზმის განვითარებისა და თანამშრომლობის საკითხებს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და თურქეთის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (გერმანია) ექსპერტები, ბიზნესის, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლები.

კონფერენციის პირველი დღე მიმდინარეობდა ქალაქ ბათუმში, ხოლო შემაჯამებელი შეხვედრადისკუსია გაიმართა ქალაქ ტრაპიზონში - შავი ზღვის ტექნიკურ უნივერსიტეტში. ქალაქ ტრაპიზონში კონფერენციის მონაწილეებს მასპინძლობდა უნივერსიტეტის რექტორი იბრაჰიმ ოზენი. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა აგრეთვე მნიშვნელოვანი შეხვედრები, მასპინძლებს, კონფერენციის მომხსენებლებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის. მოხდა აზრთა გაზიარება.

პირველ საერთაშორისო კონფერენციაში ბათუმი-ტრაპიზონი აქტიური მონაწილეობა მიიღო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დელეგაციამაც. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ: ფაკულტეტის დეკანი ბატონი დავით ჯალაღონია ("უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციის აღრიცხვა ტურისტულ ფირმაში"), ქალბ. ნაზი გვარამია ("მენეჯერული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკა და მისი გამოყენების ზოგიერთი ასპექტები ტურიზმის ბიზნესში"), ქალბ. მადონა გელაშვილი ("ტურისტული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში"), ბატონი დევი შონია ("კლიენტებთან ურთიერთობის მართვის (CRM) სისტემა და მისი ზეგავლენა ტურისტული კომპანიის ეფექტიანობაზე").

კონფერენციის ფარგლებში მათ მიიღეს მონაწილეობა იმ შეხვედრებში, სადაც დაისახა აზრთა გაზიარებისა და თანამშრომლობის მომავალი გეგმები, შემდგომი კონტაქტებისა და თანამშრომლობის პერსპექტივები.